ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 8-443854/12

"21" 02 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, (სექტორი – მთაწმინდა), ჭანტურიას ქ. №12/ჭანრტურიას ქ. №12–ის მიმდებარედ, (საკ. კოდი №01.15.04.008.029) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1382460 15.07.2014წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, (სექტორი – მთაწმინდა), ჭანტურიას ქ. №12/ჭანრტურიას ქ. №12 ის მიმდებარედ, (საკ. კოდი №01.15.04.008.029) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

შეცლილია კოლონების გაბარიტი. დამატებულია კაპიტალური კედლები. დამატებულია წყლის მილები. შეცვლილია ღიობების გაბარიტი, ნახატი და ადგილმდებარეობა. ნაწილობრივ შეცვლილია გარე კედლების ფორმა. შეცვლილია გრუნტის ნიშნული და შენობის ძირი არ არის მოპირკეთებული. აივნებზე არი არის მოწყობილი მზის დამცავი ჟალუზები.

„4-1" ფასადზე დამატებულია ლითონის დეტალები. შეცვლილია მინის მოაჯირების ნახატი. ±0.00 და +4.30 ნიშნულზე ვიტრაჟების გარშემო გაუქმებულია მოპირკეთება. +9.90 ნიშნულზე ვიტრაჟების თავზე არ არის კედელი მოპირკეთებული. +13.20 ნიშნულზე ვიტრაჟების თავზე კედლები მოპირეკეთებულია აგურით.

„1-4" ფასადზე „1-2" მონაკვეთში აივნებზე არ არის მოწყობილი კაპიტალური კედლები.

„ა-ე" ფასადზე დამატებულია კონდიციონერი.

-2.80 ნიშნულზე შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა. შეცვლილია პანდუსის გაბარიტი ფორმა და დამატებულია კედლები. ლიფტის ქვეშ დამატებულია ლითონის კონსტრუქცია.

+0.00 ნიშნულზე შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა. შემცირებულია გამწვანების ფართი. ნაწილობრივ მოწყობილია ლითონის საყრდენები. „გ-გ" ღერძის გარეთ არ არის მოწყობილი ღობე. დამატებულია კედლები და ჭიშკარი. „2-3" მონაკვეთში კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი.

სახურავზე შეცვლილია გაშლილი შახტების ფორმა, რაოდენობა, გაბარიტი და ადგილმდებარეობა. „დ-გ" მონაკვეთში დამატებულია ცხაური. კედლები მოპირკეთებულია აგურით. დამატებულია ლითონის გადახურვა.

პანდუსი და პანდუსის კედლები ნაწილობრივ სცდება საკადასტრო წითელ ხაზებს.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის [illegible] ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" [illegible] შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შალვა ბარამიძეს, ქ. თბილისში, (სექტორი მთაწმინდა), ჭანტურიას ქ. №12/ჭანრტურიას ქ. №12 ის მიმდებარედ, (საკ. კოდი №01.15.04.008.029) მდებარე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

ადრესატი:
შალვა აბრამიშვილი
პირადი ნომერი: 01005004440
მისამართი: თბილისი პაბლო პიკასოს ქ. N 5 ბ. 8

ბატონო შალვა,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი N19/011721390-17 განცხადების პასუხად გაცნობებთ: ქ. თბილისში, ჭანტურიას ქ. N12/ჭანტურიას ქ. N12-ის მიმდებარედ (საკ. კოდი N01.15.04.008.029) არსებული ობიექტის გადამოწმებით დადგინდა, რომ ,,ა-ე" ფასადზე დამატებით მოწყობილი კონდიციონერი დემონტირებულია. მზის დამცავი ჟალუზები მოწყობილია აივნების ნაწილზე. ,,1-4" ფასადზე ,,1-2" მონაკვეთში აივნებზე კაპიტალური კედლების ნაცვლად მოწყობილია ლითონის ჟალუზები. გამოსწორებულია ასევე სამსახურის 21.02.2017წ. Nბ-443851/12 ბრძანებაში მითითებული საკადასტრო საზღვრების დარღვევა და გამწვანების ფართის შემცირება. Nბ-443851/12 ბრძანებაში მითითებული სხვა დარღვევები უცვლელია.

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური -
სამსახურის უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე